



პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

ქ. თბილისი

20/08/2015

გადაწყვეტილება №გ-1/116/2015

განმცხადებელი: კ.ჟ

მოთხოვნა: შპს „კრედიტონის“ მიერ განმცხადებლის შესახებ ინფორმაციის სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში გადამოწმების კანონიერების შესწავლა და შესაბამისი რეაგირების განხორციელება.

აღწერილობითი ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს 2015 წლის ივნისში განცხადებით მომართა მოქალაქე კ.ჟ-მ, რომელშიც მითითებული იყო, რომ შპს „კრედიტონი“ საკუთარ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, მომხმარებლებს სთავაზობს სესხის გაცემას საკრედიტო ისტორიის გადამოწმების გარეშე. განმცხადებელი მიუთითებს, რომ აღნიშნული კომპანიის მომსახურებით 2015 წლის იანვრიდან ისარგებლა რამდენიმეჯერ. ამ ხნის განმავლობაში კომპანიას არ გადაუმოწმებია განმცხადებლის საკრედიტო ისტორია სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში. განმცხადებელი ასევე მიუთითებს, რომ იგი სარგებლობს სს „კრედიტინფო საქართველოს“ მომსახურებით, კერძოდ, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ნებისმიერ დროს ხელი მიუწვდება ინფორმაციაზე თუ ვინ და როდის განახორციელა მის შესახებ ინფორმაციაზე წვდომა სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში. განცხადების თანახმად, კ.ჟ-მ შპს „კრედიტონთან“ ბოლო ვალდებულება დაფარა 2015 წლის ივნისში, რის შემდეგაც აღარ უსარგებლია ამ კომპანიის მომსახურებით. ათი დღის შემდგომ კი, შპს „კრედიტონის“ წარმომადგენელმა დაათვალიერა მისი საკრედიტო ისტორია სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში. კ.ჟ-მ 2015 წლის ივნისში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიმართა შპს „კრედიტონს“ ინფორმაციის მოთხოვნით, თუ რატომ მოხდა მისი ნებართვის გარეშე მის შესახებ ინფორმაციის გადამოწმება, რის შედეგად მას ტელეფონის მეშვეობით დაუკავშირდა შპს „კრედიტონის“ წარმომადგენელი და განუცხადა, რომ ინფორმაცია გადამოწმდა სხვადასხვა შეთავაზების გაკეთების მიზნით. განმცხადებლის მოთხოვნის მიუხედავად - პასუხი მიეღო წერილობით,

ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ამ დრომდე შპს „კრედიტონისგან“ პასუხი არ მიუღია. განმცხადებელი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისგან ითხოვს შესაბამის რეაგირებას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილებით კ.ჟ-ს განცხადება მიღებულ იქნა განსახილველად და განცხადებაში მითითებული გარემოებებისა და მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის მიზნით გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია შპს „კრედიტონის“ და სს „კრედიტინფო საქართველოსგან“.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის 2015 წლის ივლისის წერილით სს „კრედიტინფო საქართველოსგან“ მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია აქვს თუ არა წვდომა შპს „კრედიტონს“ სს „კრედიტინფო საქართველოს“ საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაზე და ადგილი ჰქონდა თუ არა შპს „კრედიტონის“ მიერ, მიმდინარე წლის ივნისში, კ.ჟ-ს მხრიდან ბოლო ვალდებულების დაფარვის შემდგომ, მის შესახებ ინფორმაციაზე წვდომას აღნიშნულ მონაცემთა ბაზაში. სს „კრედიტინფო საქართველოს“ საპასუხო წერილის თანახმად, შპს „კრედიტონს“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სს „კრედიტინფო საქართველოსთან“ საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზით სარგებლობის შესახებ და შესაბამისად, სისტემაში დარეგისტრირებულნი არიან ამ კომპანიის უფლებამოსილი მომხმარებლები. კ.ჟ-ს შესახებ ინფორმაცია გადამოწმებულ იქნა შპს „კრედიტონის“ მომხმარებლის მიერ. სს „კრედიტინფო საქართველო“ 2015 წლის აგვისტოს საპასუხო წერილში კი მიუთითებს, რომ მასსა და შპს „კრედიტონს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „კრედიტონს“ ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მონაცემთა ბაზაში განხორციელებული ყოველი ძიების კანონიერებაზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის 2015 წლის ივლისის წერილით შპს „კრედიტონისგან“ მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული რომელი სამართლებრივი საფუძველით და რა მიზნით მოხდა კ.ჟ-ს შესახებ ინფორმაციის გადამოწმება სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში. ასევე, მიმართა თუ არა მოქალაქემ ინფორმაციის მოთხოვნით თუ რატომ მოხდა მისი ნებართვის გარეშე მის შესახებ ინფორმაციის გადამოწმება და დადებითი პასუხის შემთხვევაში, რატომ არ მოხდა ინფორმაციის მიწოდება მოთხოვნილი ფორმით. შპს „კრედიტონის“ საპასუხო წერილის მიხედვით, კ.ჟ-ს შესახებ ინფორმაციის გადამოწმება სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში განხორციელდა შპს „კრედიტონს“ და კ.ჟ-ს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა 2015 წლის ივლისში განმეორებით, წერილით მიმართა შპს „კრედიტონს“ და მოითხოვა ინფორმაციის დაზუსტება - მოხდა თუ არა და რა მიზნით კ.ჟ-ს შესახებ ინფორმაციის სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში გადამოწმება მიმდინარე წლის 20 ივნისს. ასევე, აღნიშნული პერიოდისათვის, კ.ჟ-ს შევსებული ჰქონდა თუ არა სასესიო განაცხადი (დადებითი პასუხის შემთხვევაში, მოთხოვნილ იქნა დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა) და ხელახლა

იქნა მოთხოვნილი განმარტება მიმართა თუ არა მოქალაქემ ინფორმაციის მოთხოვნით და რატომ არ მიეწოდა ინფორმაცია მოთხოვნილი ფორმით. ასევე, შპს „კრედიტონისგან“ მოთხოვნილ იქნა განმარტება თუ რას გულისხმობს კომპანიის ვებგვერდზე (www.crediton.ge) განთავსებული ინფორმაცია - „საკრედიტო ისტორიის გადამოწმების გარეშე“.

2015 წლის ივლისის წერილით, შპს „კრედიტონმა“ დაადასტურა, რომ მიმდინარე წლის ივნისში მოხდა სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში კ.ჟ-ს შესახებ ინფორმაციის გადამოწმება. ასევე, დაადასტურა ის ფაქტი, რომ ზემოხსენებულ პერიოდში კ.ჟ-ს არ ჰქონია გაკეთებული განაცხადი კრედიტის მიღების თაობაზე. ინფორმაციის აღნიშნული გადამოწმება ინიცირებული იყო შპს „კრედიტონის“ მიერ და მიზნად ისახავდა კ.ჟ-ს, როგორც კომპანიის პროდუქტების აქტიური მომხმარებლისთვის საშეღავათო პირობებით ახალი სესხის შეთავაზებას. შპს „კრედიტონი“ ასევე მიუთითებს, რომ კომპანიასა და კ.ჟ-ს შორის 2014 წლის ოქტომბერში დადებული შეთანხმების თანახმად, კომპანიას კლიენტის მხრიდან მონიჭებული ჰქონდა უფლება კლიენტის შესახებ ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, აღრიცხვის, მესამე პირთათვის გადაცემის და მესამე პირისგან ინფორმაციის გამოთხოვნის შესახებ (კომპანიამ მიუთითა მის ვებგვერდზე განთავსებული ხელშეკრულების 9.1 მუხლი). კომპანიის განმარტებით, ამავე ხელშეკრულების მე-5 მუხლში მოყვანილია დადებული გარიგების მსესხებლის მხრიდან დარღვევის პირობები, რომლის მიხედვითაც თუ კ.ჟ-ს სურდა 2014 წლის ოქტომბერში გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა, მას წერილობითი ფორმით უნდა მიემართა ამის შესახებ კომპანიისთვის, რაც კ.ჟ-ს არ გაუკეთებია. შესაბამისად, კომპანიამ გამოიყენა დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოითხოვა კლიენტის შესახებ ინფორმაცია მესამე პირისგან.

ამავე წერილში შპს „კრედიტონი“ მიუთითებს, რომ კ.ჟ-მ კომპანიას მიმართა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით არასამუშაო დღეს, რაზეც კომპანიის მხრიდან მოხდა რეაგირება შემდეგ დღეს. კერძოდ, განხორციელდა კლიენტთან სატელეფონო საუბარი, რომლის დროსაც კლიენტს განემარტა, რომ კომპანიამ აღნიშნული ნაბიჯი გადადგა თავისი ინიციატივით კლიენტისთვის ახალი პროდუქტის შეთავაზების მიზნით, რაზეც კლიენტმა მოითხოვა იურიდიული დასაბუთება და მისთვის ელექტრონულ ფოსტაზე ინფორმაციის გადაგზავნა, თუ რის მიხედვით იხელმძღვანელა კომპანიამ აღნიშნული ნაბიჯის გადადგმისას. თუმცა აღნიშნული საუბრის შემდეგ კომპანიამ მიიღო წერილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისგან და საპასუხო წერილით განმარტა, რითი ხელმძღვანელობდა კომპანია კ.ჟ-ს შესახებ მესამე პირისგან ინფორმაციის გამოთხოვის დროს. რაც შეეხება კომპანიის ვებგვერდზე მითითებულ ინფორმაციას - „სესხის გაცემა საკრედიტო ისტორიის გადამოწმების გარეშე“, კომპანიის განმარტებით აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ სესხის გაცემისას კომპანია კლიენტის წარსულ საკრედიტო ისტორიას ყურადღებას არ აქცევს და გადაწყვეტილების მიღებისას მხოლოდ მიმდინარე საკრედიტო სტატუსით ხელმძღვანელობს.

შპს „კრედიტონის“ მიერ კ.ჟ-ს შესახებ მონაცემების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე მოპოვების ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ხოლო შპს „კრედიტონის“ მიერ კ.ჟ-ს ინფორმაციის მოთხოვნილი ფორმით მიუწოდებლობის ფაქტზე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევის გამო ასევე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. შპს „კრედიტონის“ წარმომადგენელი არ დაეთანხმა ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს.

სს „კრედიტინფო საქართველოს“ მიერ 2015 წლის ივნისში კ.ჟ-ს შესახებ მონაცემების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე, შპს „კრედიტონისთვის“ გადაცემის ფაქტზე კი, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ამასთან, სს „კრედიტინფო საქართველოს“ წარმომადგენელმა მიუთითა სს „კრედიტინფო საქართველოს“ და შპს „კრედიტონს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-18 პუნქტზე, რომლის თანახმად, შპს „კრედიტონი“ იღებს პასუხისმგებლობას, რომ ყველა ძიება და ინფორმაციის გადაცემა მონაცემთა ბაზაში განხორციელდება მხოლოდ საკრედიტო ისტორიის სუბიექტის თანხმობის საფუძველზე. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია ფინანსური პასუხისმგებლობაც. იმის გათვალისწინებით, რომ სს „კრედიტინფო საქართველო“ კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას იღებს მონაცემთა ბაზაზე უკანონო წვდომის ასარიდებლად, იგი არ უნდა იქნას მიჩნეული სამართალდამრღვევად.

სამოტივაციო ნაწილი

- 1. შპს „კრედიტონის“ მიერ კ.ჟ-ს შესახებ მონაცემების სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში გადამოწმების კანონიერება.*

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება არის ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება. აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის თანახმად კი, პერსონალური მონაცემების დამუშავება დასაშვებია ამავე მუხლით განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ კ.ჟ-მ რამდენჯერმე ისარგებლა შპს „კრედიტონის“ მომსახურებით და მიიღო მისგან სესხი, თუმცა მონაცემების გადამოწმების თარიღში, კ.ჟ-ს არ ჰქონია გაკეთებული განაცხადი ახალი კრედიტის მიღების თაობაზე და

მის შესახებ მონაცემების სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში გადამოწმება განხორციელდა კ.ჟ-სთვის, როგორც კომპანიის პროდუქტების აქტიური მომხმარებლისთვის საშეღავათო პირობებით ახალი სესხის შესათავაზებლად.

შპს „კრედიტონი“ მონაცემთა ბაზაში გადამოწმების თარიღში, კ.ჟ-ს შესახებ მონაცემების სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში გადამოწმების საფუძველად უთითებს ზემოაღნიშნული მუხლის „ა“ პუნქტით დადგენილ საფუძველს - მონაცემთა სუბიექტის თანხმობას და ამის დასტურად მიუთითებს კომპანიასა და კ.ჟ-ს შორის 2014 წლის ოქტომბერში დადებულ სესხის ხელშეკრულებას. აღნიშნული ხელშეკრულების 9.1 მუხლის თანახმად - *„გამსესხებელი უფლებამოსილია დაამუშავოს მსესხებლის მონაცემები (შეგროვება, შენახვა, აღრიცხვა, დარეგისტრირება, გადაცემა და სხვა), ასევე გადასცეს მესამე პირს და მიიღოს მისგან მსესხებელზე ინფორმაცია“*. ხელშეკრულების აღნიშნული პუნქტი ვერ იქნება მიჩნეული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემთა სუბიექტის თანხმობად შემდეგი გარემოების გამო:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად, თანხმობა არის მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომლითაც შესაძლებელია ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება. კ.ჟ-სა და შპს „კრედიტონს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების 9.1 პუნქტის ფორმულირება არის ზოგადი და მონაცემთა სუბიექტს არ აძლევს მკაფიო და ნათელ მინიშნებას, რომ გარდა სასესხო ურთიერთობისა, მის შესახებ მონაცემები შესაძლოა დამუშავდეს განსხვავებული მიზნით - ახალი პროდუქციის შესათავაზებლად. შპს „კრედიტონმა“ კომპანიის პროდუქტების აქტიური მომხმარებლისთვის საშეღავათო პირობებით ახალი სესხის შესათავაზებლად, კ.ჟ-ს შესახებ მონაცემები დაამუშავა დადებულ სესხის ხელშეკრულებისგან განსხვავებული მიზნით, რის შესახებაც მონაცემთა სუბიექტს - კ.ჟ-ს თანხმობის გაცემის დროს არ შეეძლო ევარაუდა. მითუმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელსა და შპს „კრედიტონს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების 2.2 პუნქტის თანახმად -

„სასესხო განაცხადის შევსების შემდგომ, სესხის გაცემამდე, გამსესხებელი უფლებამოსილია მოიძიოს/გადაამოწმოს მსესხებლის მიერ მითითებული ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი, მათ შორის პერსონალური ინფორმაცია (მათ შორის, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მომსახურების სააგენტოში, პოლიციაში და ნებისმიერ სხვა მესამე პირთან), რაზეც მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას. მსესხებელი აცნობიერებს, რომ მცდარი ინფორმაციის მიწოდება შესაძლოა გახდეს სესხის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი და მსესხებლის პირადი პასუხისმგებლობის (მათ შორის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა).“

ზემოაღნიშნული პუნქტი ნათლად და მკაფიოდ მიუთითებს, რომ გამსესხებელს სწორედ სასესხო განაცხადის შევსების შემდგომ, სესხის გაცემამდე აქვს უფლება მოიძიოს და გადაამოწმოს მსესხებლის შესახებ ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, კ.ჟ-ს, მასსა და შპს „კრედიტონს“ შორის დადებული ხელშეკრულების 9.1 პუნქტის მიხედვით, არ ჰქონია გამოხატული თანხმობა მის შესახებ მონაცემების სხვა (გარდა სასესხო ურთიერთობის) - ახალი პროდუქციის შეთავაზების მიზნით დამუშავების შესახებ.

2. გარდა ზემოაღნიშნულისა, კ.ჟ-ს და შპს „კრედიტონს“ შორის დადებული ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული ხელშეკრულების მოქმედების ვადა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის თანახმად კი, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით. აქედან გამომდინარე, შპს „კრედიტონსა“ და კ.ჟ-ს შორის აღარ არსებობდა 2014 წლის ოქტომბერში დადებულ სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებითი ურთიერთობა და შესაბამისად, კ.ჟ-ს მიერ გამოხატული თანხმობა, კერძოდ, შპს „კრედიტონისათვის“ მინიჭებული უფლება მიიღოს მის შესახებ მონაცემები მესამე პირებისაგან, ვერ იქნება განხილული მონაცემთა დამუშავების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრულ მონაცემთა სუბიექტის თანხმობად.

შპს „კრედიტონის“ პოზიცია, რომ კ.ჟ-სა და შპს „კრედიტონს“ შორის დადებული ხელშეკრულების მე-5 პუნქტის შესაბამისად, განმცხადებელს არ მიუმართავს კომპანიისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნით და აქედან გამომდინარე, განმცხადებლის მიერ აღნიშნული ხელშეკრულებით გამოხატული თანხმობა მოქმედია, ვერ იქნება გაზიარებული, რადგან ხელშეკრულების 5 პუნქტის თანახმად, მსესხებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მისი ძალაში შესვლიდან 15 დღის განმავლობაში, გამსესხებლის იურიდიულ მისამართზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. იგივე პუნქტი განსაზღვრავს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში მისათითებელ ინფორმაციას და აღგენს, რომ თუ მსესხებელი თავისი ინიციატივით შეწყვეტს ხელშეკრულებას, იგი ვალდებულია გადაიხადოს სესხის თანხა. მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების ზემოაღნიშნული პუნქტი არ განსაზღვრავს ხელშეკრულების მოქმედების კონკრეტულ ვადას და შესაბამისად, მასზე მოქმედებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები.

გარდა ამისა, კ.ჟ-სა და შპს „კრედიტონს“ შორის დადებული ხელშეკრულების 7.2 პუნქტის თანახმად, *„ახალი სასესხო განაცხადის შევსებით მსესხებელი ეთანხმება სასესხო განაცხადის შევსების დღეს ვებგვერდზე არსებულ პირობებს და აცნობიერებს, რომ ყველა შემდეგ აღებულ სესხზე გავრცელდება წინამდებარე ხელშეკრულებების დებულებები.“* აღნიშნული პუნქტი ადასტურებს იმას, რომ ყოველი ახალი სასესხო განაცხადით მონაცემთა სუბიექტი (მსესხებელი) ხელახლა გამოხატავს თანხმობას შპს „კრედიტონთან“ ხელშეკრულების პირობებზე, მათ შორის პერსონალურ მონაცემთა

გადამოწმების შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ მონაცემების გადამოწმების თარიღში კ.ჟ-ს არ ჰქონია გაკეთებული განაცხადი ახალი კრედიტის მიღების თაობაზე, მის შესახებ მონაცემების სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში გადამოწმება განხორციელდა მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე. მომხმარებლისთვის კომპანიის პროდუქტების საშეღავათო პირობებით შეთავაზების საფუძველით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების, მათ შორის გადამოწმების შესაძლებლობა კი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „კრედიტონის“ მიერ 2015 წლის ივნისში ადგილი ჰქონდა კ.ჟ-ს შესახებ მონაცემების სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში გადამოწმებას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილი საფუძვლების გარეშე, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

2. შპს „კრედიტონის“ მიერ მონაცემთა სუბიექტის - კ.ჟ-ს ინფორმირების წესის დარღვევა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამმუშავებელს მოსთხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. მონაცემთა დამმუშავებელმა კი მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია: მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება; მონაცემთა დამუშავების მიზანი; მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი; რა გზით შეგროვდა მონაცემები; ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ ან ამავე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში - მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი კი ადგენს, რომ ინფორმაციის მიწოდების ფორმას ირჩევს მონაცემთა სუბიექტი. კ.ჟ-მ შპს „კრედიტინფოს“ მიერ მონაცემთა გადამოწმების შემდგომ დღეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიმართა შპს „კრედიტონს“ ინფორმაციის მოთხოვნით, თუ რატომ მოხდა მისი ნებართვის გარეშე მის შესახებ ინფორმაციის გადამოწმება სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში, რის შედეგად კ.ჟ-ს ტელეფონით დაუკავშირდა შპს „კრედიტონის“ წარმომადგენელი და განუცხადა, რომ ინფორმაცია გადამოწმდა ახალი პროდუქტის შეთავაზების მიზნით. განმცხადებელმა მოითხოვა პასუხის წერილობით გაცემა და ელექტრონული ფორმით გაგზავნა, თუმცა მიუხედავად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესისა - ინფორმაციის მიწოდების ფორმას ირჩევს მონაცემთა სუბიექტი, შპს „კრედიტონმა“ კ.ჟ-ს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. აქედან გამომდინარე, შპს „კრედიტონის“ მიერ ადგილი აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის

შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას, რაც ამავე კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.

3. სს „კრედიტინფო საქართველოს“ მიერ კ.ჟ-ს შესახებ მონაცემების შპს „კრედიტონისთვის“ გადაცემის კანონიერება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების დამუშავებისთვის, მათ შორის გადაცემისთვის, საჭიროა ამ მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძვლის არსებობა. განცხადების განხილვის ფარგლებში, კ.ჟ-ს შესახებ მონაცემთა გაცემის სამართლებრივი საფუძველი სს „კრედიტინფო საქართველომ“ ვერ მიუთითა. სს „კრედიტინფო საქართველოს“ განმარტებით, მასსა და შპს „კრედიტონს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „კრედიტონს“ ეკისრება სრული პასუხისმგებლობა სს „კრედიტინფო საქართველოს“ საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში განხორციელებულ ყოველი ძიების კანონიერებაზე. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია ფინანსური პასუხისმგებლობაც. იმის გათვალისწინებით, რომ სს „კრედიტინფო საქართველო“ კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას იღებს მონაცემთა ბაზაზე უკანონო წვდომის ასარიდებლად, იგი არ უნდა იქნას მიჩნეული სამართალდამრღვევად. სს „კრედიტინფო საქართველოს“ პოზიცია ვერ იქნება გაზიარებული ვინაიდან, სს „კრედიტინფო საქართველომ“, როგორც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ი“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავებელმა, კ.ჟ-ს შესახებ მის მონაცემთა ბაზებში დაცული მონაცემები დაამუშავა, კერძოდ გადასცა შპს „კრედიტონს“ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 43-ე პუნქტის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას. ის ფაქტი, რომ სს „კრედიტინფო საქართველოსა“ და შპს „კრედიტონს“ შორის დადებული ხელშეკრულებით მონაცემთა ბაზაში უკანონო ძიებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა შპს „კრედიტონს“, ვერ გამორიცხავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით მონაცემთა დამუშავებისათვის დადგენილ ვალდებულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 27-ე, 34-ე, 39-ე, 43-ე და 50-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. შპს „კრედიტონი“ ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და 50-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 500 ლარის ოდენობით;

2. სს „კრედიტინფო საქართველო“ ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 500 ლარის ოდენობით;
3. ჯარიმის გადახდა უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში;
4. დასრულდეს მოქალაქე კ.ჟ-ს განცხადებასთან დაკავშირებული საქმის განხილვა;
5. განმცხადებელს, შპს „კრედიტონს“ და სს „კრედიტინფო საქართველოს“ ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
6. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარეთა მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

თამარ ქალდანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი